ხელშეკრულება N61

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი 15 მარტი 2018წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ „ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი", სამხატვრო ხელმძღვანელის პაატა გულიაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, ფ.პ. ზურაბ გაგლოშვილი (01030016524), შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სპექტაკლის „კაცია ადამიანის" მხატვრული გაფორმების მომსახურების შესყიდვა.
1.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
1.3 შესყიდვის საფუძველი - სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N99 განკარგულების საფუძველზე;
1.4 კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 92312000 - სახელოვნებო მომსახურებები.
1.5 დაფინანსების წყარო - 2018 წლის საკუთარი შემოსავლები.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
2.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 7 დღე.
3.2. მიწოდების ადგილი ქ. თელავი.

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი" ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.
4.2. „შემსყიდველი" ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს" წუნის შესახებ.
4.3. მიწოდებელი საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. პირობების ცვლილების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება.
4.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
4.5. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.
5.2. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრისას, „შემსყიდველს" უფლება აქვს „მიმწოდებლის" ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული ოპერაციები.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2500 (ორიათას ხუთასი) ლარს.
6.2. ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს გარდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება მიღება-ჩაბარების აქტი საფუძველზე არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. შესაძლებელია ეტაპობრივი ანგარიშსწორება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
7.2. მიწოდებული მომსახურების სრული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2018 წლის 01 ივნისამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ინახება შემსყიდველთან, ერთი – მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი"	ფ.პ. ზურაბ გაგლოშვილი
ს.კ. 231169641	პირადი N 01030016524
ქ. თელავი, ერეკლე II მოედანი N7	მის: ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქუჩა, N 24, ბინა 36
	ბანკი: სს ვითიბი ბანკი ჯორჯია
	ა/ა GE87VT 1000 0021 8634 4506
სამხატვრო ხელმძღვანელი	ზურაბ გაგლოშვილი
პაატა გულიაშვილი	

„შემსყიდველი" ---------- „მიმწოდებელი" ----------

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თელავი 15 მარტი 2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ „ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი", წარმოდგენილი სამხატვრო ხელმძღვანელის პაატა გულიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ზურაბ გაგლოშვილი (01030016524), ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2018 წლის 15 მარტს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №61-ის საფუძველზე, შემსყიდველმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 2500 (ორიათასხუთასი) ლარს.

შესყიდვის ობიექტი ექვემდებარება ჩაბარებას და ანაზღაურებას.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

ჩაიბარა: /პ. გულიაშვილი/

ჩააბარა: /ზ. გაგლოშვილი/